ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული
ANNUAL OF KUTAISI SCIENTIFIC LIBRARY

VI 2014

მარიამ მარჯანიშვილი

დიდი ქართული საქმის მსახურნი
(იოსებ ელიგულაშვილი, ილია გოლდმანი)

დღეს მთელი მსოფლიოსათვის ნათელია, თუ რა მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობით იხსენებენ საქართველოდან წასული ქართველი ებრაელები ქართულ კულტურას, მის ისტორიასა და ხალხს.

ქართველების მხრიდანაც ერთობ დიდი დაინტერესებაა ჩვენში 26 საუკუნის მანძილზე მცხოვრებ ებრაელთა მიმართაც, რომლის ერთ-ერთი გამოძახილია 2014 წლის ქართულ-ებრაული ურთიერთობის წლად გამოცხადება.

ისტორიულად ქართველები ყოველთვის პატივს სცემდნენ სოლომონ ბრძენის ერს. ქართველები კარგად იცნობდნენ ებრაელთა ერის ტანჯვით აღსავსე ისტორიას, რომელთაც ძვ. წ. VI საუკუნეში ჯერ ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ II-მ, ხოლო შემდეგ კი რომაელებმა ახ. წ. I-II საუკუნეებში მრავალი განსაცდელი დაატეხეს თავს.

ასე რომ, თავდაპირველად ტერმინი – დიასპორა – პალესტინის გარეთ მცხოვრებ ებრაელთა დევნიდან იღებს სათავეს.

მძიმე ქარტეხილების მიუხედავად, ებრაელ ერს არ დაუკარგავს ენა, კულტურა და სარწმუნოება. მათ ცივილიზებულ მსოფლიოს მისცეს სტენდალი და შტეფან ცვაიგი, შალომ ალეიხეიმი და ბორის პასტერნაკი... უფრო ადრე კი დიდი ებრაელები ჰეგელი, მარქსი, ნიუტონი, აინშტაინი და სხვ.

"მრავალჯერ მოსულა საქართველოში სისხლის წვიმა, მაგრამ არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ქართველ ებრაელებს არ გაეზიარებინათ ქართველის ტკივილი. ამის დასტურია 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია, რომელმაც ჩამოშალა დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს ეროვნული სხეული. ახალ რეჟიმთან შეუთავსებლობისა და საერთაშორისო სამართლის გზით საქართველოს დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენისათვის მებრძოლი მთავრობისა და მოწინავე ინტელიგენციის გვერდით დადგა ქართველი ებრაელობაც, მათ შორის აღსანიშნავია იოსებ ელიგულაშვილის ღვაწლი.

იოსებ ელიგულაშვილი 1890 წლის 12 ნოემბერს, ქუთაისში, მდიდარი ებრაელის ოჯახში დაიბადა. მამამისი – არონ ელიგულაშვილი – ქუთაისის სინამდვილეში თავისი საზოგადოებრივი საქმიანობით საკმაოდ ცნობილი პიროვნება გახლდათ, რომელიც სხვადასხვა დროს არჩეული იყო ქალაქის ხმოსანთა საბჭოს წევრად, ხოლო 1917 წლის არჩევნებში, რომელიც მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ ჩატარდა, იყო ქუთაისის საბჭოს ხმოსანი დეპუტატი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიით.

"ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტის მიერ არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს შორის გელათის ქუჩიდან წარდგენილი იყვნენ არონ ელიგულაშვილი (ვაჭარი); იოსებ ხახანაშვილი (ვაჭარი); კალისტრატე

ჩიკვაიძე (ვექილი) და შიმშონ იაკობიშვილი (ვაჭარი)" (გაზეთი "ჩვენი ქვეყანა", 1917, გვ. 3).

ქართულ მიწა-წყალზე ქართველ და ებრაელ ხალხთა შორის 26 საუკუნოვანი თანაცხოვრება მიმდინარეობდა, როგორც კულტურულ, ისე პოლიტიკურ ასპარეზზე. ეს ურთიერთობა, ხატოვნად რომ ვთქვათ, ორი ერის წინაპრების სულიერი სიახლოვის ტრადიციებიდან იღებდა სათავეს. ბიბლიისა და "ვეფხისტყაოსნის" შემქმნელ ერებს სხვაგვარად არც შეეძლოოთ, რადგან ეს წიგნები ზრდიდა და ზნეობრიობის, სულიერი წონასწორობის უნიკალურ მაგალითს აძლევდა თითოეულ მათგანს.

იოსებ ელიგულაშვილი ფესვებით იყო შეზრდილი ქართველი ერის ჭირ-ვარამთან. მან საშუალო განათლება ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მიიღო, ხოლო უმაღლესი — მოსკოვში, სადაც დაამთავრა კომერციული ინსტიტუტი.

ძირძველ ქართველ ებრაელთა ოჯახში დაბადებული იოსებ ელიგულაშვილი ახალგაზრდობიდანვე იყო ჩაბმული რევოლუციურ მოძრაობაში. იგი ციხეშიც იჯდა და სულ ახალგაზრდა ქუთაისიდანაც იყო გადასახლებული.

რუსეთის თვითმპყრობელობის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ ი. ელიგულაშვილს საშუალება მიეცა თუ არა, თავისი ცოდნა მაშინვე თავისუფალი ქვეყნის, დამოუკიდებელი საქართველოს სამსახურში ჩააყენა.

ძალიან ახალგაზრდა იოსებ ელიგულაშვილი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგის თანამდებობაზე იქნა მოწვეული. ზოგს ეს გარემოება შიშს ჰგვრიდა, – შეეფერება ეს ახალგაზრდა კაცი ამ დიდ თანამდებობასო? მაგრამ, როცა მას საქმეზე საუბარში გაეცნობოდნენ, იგი თვით ძველი და გამოცდილი ქართველი დიდი მოხელეებისა და საქმის კაცების ყურადღებასა და პატივისცემას იმსახურებდა.

როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, 1919 წელს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ იოსებ ელიგულაშვილი წამოაყენა დეპუტატად პარტიული სიით (№93) ქუთაისიდან, ასევე მეორე ქუთაისელ ებრაელ მოშე დავარაშვილთან (№51) ერთად. 1920 წლის აგვისტოში იოსებ ელიგულაშვილი დაინიშნა საქართველოს ეკონომიკურ აგენტად როტენდამსა და საფრანგეთში, რის გამოც იგი განთავისუფლებულ იქნა დამფუძნებელი კრების წევრობიდან. 1921 წლის თებერვალ-მარტში, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იოსებ ელიგულაშვილმა გაიზიარა ეროვნული მთავრობის ხვედრი და ემიგრაციაში გაიხიზნა.

"საქართველოს ოკუპაცია და უცხოეთში გადმოხვეწა მისთვისაც ისე მწარე იყო, როგორც დიდი უმრავლესობისათვის. დიდი ოჯახი – სულ 28 სული ვართო, – იტყოდა განსვენებულის მამა – მისი ზრუნვის საგანი იყო დიდი ხნის განმავლობაში და თავისი დიდი ენერგიით იოსებმა შეძლო ეს მრავალრიცხოვანი ოჯახი საკუთარ ფეხზე დაეყენებინა" (გ.შარაძე, 1993, გვ. 118).

აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად, იოსებ ელიგულაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო 1921 წელს საქართველოდან ეროვნული განძის გატანისა და გადარჩენის საქმეში:

"ნოე ჟორდანიამ მომისმინა და მაშინვე გამოაძახებინა ჩემი კარგი ნაცნობი და მეგობარი იოსებ ელიგულაშვილი — თანაშემწე ფინანსთა მინისტრის, კაცი განათლებული, ენერგიული და საქმიანი.

მან იოსებს უთხრა: შენ თანამშრომლობ ექვთიმესთან, გეძლევა სრული უფლება იმოქმედოთ თქვენი შეხედულებისდა მიხედვით განძეულობის შესაკრებად,

გაძლევთ უფლებას ყოველგვარი ტრანსპორტის რეკვიზიციისას და საჭირო თანხებს.

იოსებ ელიგულაშვილის განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭიერებით ჩვენი დავალება ბრწყინვალედ შევასრულეთ" (ჟურნალი "ჩვენი დროშა", 1986, გვ. 78-82).

საქართველოს განძის გადარჩენის გარდა, როგორც ნინო სალია თავის მოგონებაში აღნიშნავდა: "იოსებ ელიგულაშვილს უნდა ვუმადლოდეთ, რომ საქართველოს მთავრობამ 1922 წელს შეიძინა პარიზთან ახლოს დაბა ლევილში მამული და ორსართულიანი სასახლე ("შატო"), რომელიც დღესაც საქართველოს ეკუთვნის და 70 წლის მანძილზე დიდი სამსახური გაუწია ქართულ ემიგრაციას (გ. შარაძე, 1990, გვ. 15).

პარიზში იოსებ ელიგულაშვილი აირჩიეს ქართული ეროვნული საბჭოს წევრად, აგრეთვე, უცხოეთში გადმოხვეწილი ქართველი ებრაელების ასოციაციის თავმჯდომარედ. მან დიდი ენერგია და თავგანწირულობა გამოიჩინა ქართველი ებრაელობის გადასარჩენად მეორე მსოფლიო ომის დროს.

"იოსები დიდი მადლობით იხსენიებდა ყველა მათ, ვინც ამ საქმეში მას დაეხმარა; და, უპირველეს ყოვლისა, იგი იხსენიებდა საქართველოს ისტორიას, რომელმაც – მისი სრულიად სამართლიანი აზრით – ისეთი ნიადაგი მოუმზადა ქართველი ებრაელობის მდგომარეობას ქართველი ხალხის არსებობის ძლიერ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, რომ მან ხელი შეუწყო იმათ შორეულ უცხოეთშიც საშინელი ტრაგედიიდან უმტკივნეულოდ გამოსვლას.

ამ საქმემ გააცნო იოსები და დაახლოვა იგი უცხოელ ებრაელობას და მათ წრეში დიდი პატივისცემა მოუპოვა. თვითონ კი, იოსები ამ უცხო წრეში მუდამ წინ სწევდა საქართველოს ისტორიას და ქართველი ხალხის განსაკუთრებულ ურთიერთობას ქართველ ებრაელობასთან დამოკიდებულებაში" (გ. შარაძე, 1993, გვ. 119).

ცნობილია, რომ უცხოეთის ცის ქვეშ ზოგიერთი ქართველი ემიგრანტი ეროვნულმა სულისკვეთებამ "ფაშისტად" აქცია, ანუ ისინი შეეცადნენ უცხოური ძალის გამოყენებით აღედგინათ საქართველოს დამოუკიდებლობა, გაეთავისუფლებინათ სამშობლო ბოლშევიკური ტერორისაგან. ქართველ ფაშისტთა დარაზმულობა ორგანიზაციულად არც გერმანულ ნაციონალ-სოციალისტურ და არც იტალიელ ფაშისტთა პარტიაში არ შესულა. ისინი ძირითადად, საკონცენტრაციო ბანაკებში მოხვედრილი ქართველ ტყვეთა გათავისუფლებით იყვნენ დაკავებულნი.

უნდა ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომში ქართველ ტყვეთა სიცოცხლის გადასარჩენად "კავკასიური შტაბის" წევრებმა ვ. ნოზაძემ, კ. სალიამ, ზ. ავალიშვილმა, მ. წერეთელმა, შ. მაღლაკელიძემ, ა. ასათიანმა, დ. სინჯიკაშვილმა, ის. მანწკავამ, მ. ტუღუშმა და სხვებმა ენერგიული მუშაობა გასწიეს. მათ ფაშისტური რისხვისაგან დაიცვეს ტყვე ქართველი ებრაელები და ასევე რუსეთის ებრაელობაც.

"ომის დროს მთელი ქართველი ებრაელობა იოსებ ელიგულაშვილთან იყრიდა თავს და მისგან შველას მოელოდა: მისი ცოდნის, მისი ენერგიის, მისი თავდადების იმედი ჰქონდათ. იოსებ ელიგულაშვილის ინიციატივით, მთელი ქართველი ემიგრაცია ერთსულოვნად დაირაზმა ებრაელების გადასარჩენად.

ამ საქმეში მან, როგორც ქართველების, ისე უცხოელების დახმარებაც მოიპოვა და რამდენიმე ასეული ქართველი ებრაელი, ქართველების ძალისხმევით, სიკვდილს გადაარჩინა. ამ საქმემ დიდად ასწია ქართველთა პრესტიჟი უცხოელი ებრაელების თვალში და საქართველოსაც ბევრი მეგობარი შესძინა" (გ. შარაძე, 1993, გვ. 120).

ქართველ ემიგრანტთა მიერ ებრაელთა დაცვით აღდგა უცხოეთში საქართველოს ძველი ისტორიული ტრადიცია – ყველა ერისა და ყველა სარწმუნოების პატივისცემისა და დაცვისა. თავად ი. ელიგულაშვილი ამასთან დაკავშირებით ამბობდა: "ბევრი, ბევრი ქართველი დაგვეხმარა ჩვენ ამ საქმეში, ამას ვერ დავივიწყებთ; მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ის ქართველი დაგვეხმარა, რომელსაც საქართველოს ისტორია ეწოდებაო!... " (გ. შარაძე, 1993, გვ. 120).

იოსებ ელიგულაშვილი საუკეთესო გამომხატველი იყო იმ ერთობისა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ქართველ ებრაელებს ქართველ ხალხთან აკავშირებდა და რომელიც ებრაული საკითხის მცოდნეებს საბუთს აძლევდა დაენახათ ქართველ ებრაელებში სრულიად განსაკუთრებული თვისებები, საერთოდ, ებრაელობასთან შედარებით, არც თუ ზნე-ჩვეულებით, არამედ ფიზიკურადაც. ეს გარემოება და ქართველი ერის მათდამი დამოკიდებულება საბუთს აძლევდა ქართველ ებრაელობას თავისი თავი "მოსეს რჯულის" ქართველებად ეღიარებინათ. ამავე გარემოებამ და ამ მოტივმა ხელი შეუწყო ქართველ ებრაელობას თავი დაეხსნათ იმ საშინელებიდან, საერთოდ ებრაელობას რომ დაატყდა ნაცისტური გერმანიის მიერ დაკავებულ ქვეყნებში უკანასკნელი ომის დროს" (ჟურნალი "ჩვენი დროშა", 1953, გვ.40).

იოსებ ელიგულაშვილი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პარიზში, 1952 წლის 20 ოქტომბერს და დიდი პატივით დაკრძალეს ბანიოს სასაფლაოზე (თ. პაპავა, 1973, გვ. 23).

საერთოდ, "ქართველი ხალხის ცნობიერებაში არასოდეს ყოფილა გაიგივებული ებრაელობა ქრისტეს მწვალებლებთან. ჩვენი ეკლესიის წინამძღვრებს არ უცდიათ შეექმნათ ებრაელებისაგან "მტრის ხატი" (მ. სტეფანია, 1996, გვ. 21).

ზემოთქმულის დასტურია ქართველებსა და ებრაელ ილია გოლდმანს შორის არსებული მეგობრობა, რომელიც ოკეანის გაღმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტებთან ერთად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად.

რუსეთში დაბადებული ილია გოლდმანი პროფესიით იურისტი გახლდათ, რომელიც საქართველოში პირველი მსოფლიო ომის დროს მოხვდა. სოციალ-დემოკრატი, ანტიბოლშევიკი ი. გოლდმანი 1917 წლის რევოლუციას ქუთაისში შეხვდა; იგი დაუკავშირდა მუშათა დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარეს გრიგოლ ურატაძესა და სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებს. რუსეთის ჯარის დაშლის შემდეგ, მოსკოვის ბოლშევიკური რეჟიმი, სამოქალაქო ომი და გამძვინვარებული ანარქია მას აღარ იტაცებდა. რუსეთში დაბრუნებას საქართველოში დარჩენა, მისი ჭირისა და ლხინის მოზიარედ ყოფნა არჩია.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე იგი თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის გვერდით დადგა. თავისი დიპლომატიური ნიჭის წყალობით, ი. გოლდმანმა ოსმალეთის ფრონტიდან გამოქცეული რუსის ჯარის ოხრებისაგან გადაარჩინა ქუთაისი.

ევგენი გეგეჭკორის ინიციატივით, ილია გოლდმანი თბილისში შრომის სამინისტროში მიიწვიეს მინისტრის ამხანაგად ანუ მოადგილედ.

მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დამუშავდა შრომის კოდექსის პროექტი, რომელიც შემდგომ კანონად იქნა გამოცხადებული.

ილია გოლდმანის უშუალო მონაწილეობით შეიქმნა კანონით დაწესებული ორგანოები: სატარიფო პალატა, მომრიგებელი კამერა და სხვ. როგორც უცხო ენების მცოდნე, იგი იყო მრავალი სავაჭრო ხელშეკრულების პროექტისა თუ სტატისტიკური მონაცემების ავტორი.

1919 წელს საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში ილია გოლდმანი წამოყენებული იყო დეპუტატად სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით ქუთაისიდან. იგი ქართველებთან ერთად ჩართული იყო თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობაში. 1921 წელს ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ილია გოლდმანიც, იოსებ ელიგულაშვილთან ერთად, თან გაჰყვა ემიგრაციაში გახიზნულ ეროვნულ მთავრობას, როგორც მისი ერთგული წევრი, იმ იმედით, რომ ევროპასა და, საერთოდ, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დახმარებით, კვლავ აღადგენდა საქართველოს დაკარგულ დამოუკიდებლობას.

ამ რწმენით ილია გოლდმანი უცხოეთში 26 მაისის დროშას 43 წელი ემსახურა. თუ ევროპაში იოსებ ელიგულაშვილი იყო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დამხმარე და შემწე, ამერიკის შეერთებულ შტატებში ანალოგიურ საქმიანობას ეწეოდა ილია გოლდმანი. იგი იყო ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოსა და "საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს" გამგეობის წევრი.

"საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკულ საბჭოს" მორალურ და ნივთიერ დახმარებას უწევდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები. "განსაკუთრებით ზურაბ ჩხოტუა, თამარ და პავლე კვარაცხელიები, ნიკოლოზ ამილახვარი, ლევან დადიანი, თევდორე სარჯველაძე, ნესტორ ალავიძე, ვანდა აბაშიძე, აგრეთვე, დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილი შრომის მინისტრის მოადგილე ილია გოლდმანი" (გ. შარაძე, 1992, გვ. 158).

ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციას, ბუნებრივია, თავისი საკუთარი ბეჭდვითი სიტყვის ორგანოც უნდა გაეჩინა. და აი, 1953 წლის თებერვლიდან ნიუ-იორკში გამოსვლა დაიწყო ამერიკული საბჭოს საინფორმაციო ბიულეტინმა "ცნობის ფურცელმა", ხოლო იმავე წლის ივნის-ივლისიდან მას მიემატა საკუთარი პერიოდული ორგანო "ჩვენი გზა", რომელიც იყო პირველი ნაბეჭდი, თუმცა არა სტამბური, ქართული პერიოდული ორგანო, ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში გამოცემული.

"ჩვენი გზა" იყო საზოგადოებრივი აზრის მიუდგომელი და სინდისიერი გამომხატველი; ქართული საქმის ერთგული მეურნე და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დაუღალავი მქადაგებელი" (გ. შარაძე, 1992, გვ. 159).

1953-61 წლებში ჟურნალ "ჩვენი გზის" სულ 5 ნომერი გამოვიდა ნიუ-იორკში. იგი ორენოვანი იყო: ნაწილი წერილებისა დაბეჭდილია ინგლისურად, ხოლო ნაწილი — ქართულად. მიზეზი "ჩვენი გზის" ორენოვნებისა ის გახლდათ, რომ "საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკულ საბჭოს", რომელიც 1962 წლამდე ძლიერ აქტიური ორგანიზაცია იყო, მჭიდრო კავშირი ჰქონდა ამერიკის კონგრესთან (სენატი, პალატა). აშშ-ის კონგრესი, საჭიროებისას, სახელმძღვანელოდ იყენებდა "ჩვენი გზის" ინგლისურ ნაწილს.

"ჩვენი გზის" ფურცლებზე ინგლისურ ენაზეა დაბეჭდილი ილია გოლდმანის რეცენზია წიგნზე: კონსტანტინე კანდელაკი, "საქართველოს საკითხი თავისუფალი მსოფლიოს წინაშე" ("ჩვენი გზა" 1953, გვ. 1-2).

ასევე ყურადღებას იპყრობს ჟურნალ "ჩვენი გზის" ფურცლებზე დაბეჭდილი წერილი "ევგენი გეგეჭკორი" – ერის კანონმცოდნე და სახელმწიფო მოღვაწე" ("ჩვენი გზა" 1955, გვ. 4). ამავე ჟურნალში ქართულ ენაზეა დაბეჭდილი ი. გოლდმანის სტატია "ერთა თვითგამორკვევა და კერენსკი" ("ჩვენი გზა", 1953, გვ. 1-2).

ჟურნალ "ჩვენი გზის" სარედაქციო კოლეგიაში, გივი კობახიძესთან ერთად, სხვადასხვა დროს რედაქტორ-გამომცემლებლად მ?წვეული იყვნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწე ემიგრანტები: გრიგოლ დიასამიძე, პავლე კვარაცხელია, ლადო არველაძე, ნესტორ ალავიძე, ვანო ნანუაშვილი და ილია გოლდმანი.

საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ილია გოლდმანს ერთგულად ედგა მხარში მისი მეუღლე — პოლინა ევსევის ასული, რომელიც ფლობდა მრავალ უცხო ენას. იგი ახალგაზრდობიდანვე ჩაება ერთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში და დიდი თავდადებით მოჰკიდა ხელი საქართველოს დაცვას.

დიდი ქართული საქმისათვის ბრძოლაში ისრაელნის შვილნი ილია გოლდმანი და მისი მეუღლე პოლინა ევსევის ასული არც ერთ მნიშვნელოვან თუ არამნიშვნელოვან მომენტს ან შესაძლებლობას არ უშვებდნენ ხელიდან, რათა საქართველოს რესპუბლიკის ძალით მიტაცებული თავისუფლების საკითხი დაეყენებინათ აშშ-ის უმაღლეს ორგანოებში და ქართული საქმის პროპაგანდა გაეწიათ.

ნიშანდობლივია ისიც, როგორც ემიგრანტი გიორგი ერაძე აღნიშნავდა: "ამა წლის იანვარში სიკვდილმა მოსტაცა მას მისი ერთგული მეუღლე პოლინა ევსეევნა. ამ მწუხარებით გულდათუთქული, ავადმყოფი, ღონემიხდილი, მაინც არ ივიწყებს ქართველი ერის სადღესასწაულო დღეს – 26 მაისს და ქართველი პატრიოტების მიერ ნიუ-იორკში გამართულ კრებაზე ტრიბუნიდან ამხელს მოსკოვის მთავრობის ვერაგობას – საქართველოს ერისადმი ჩადენილ ჯალათობას. გრძნობის ღელვამ, გულის ფორიაქმა დაასუსტა იგი. ვეღარ შესძლო დაემთავრებინა თავისი მგრძნობიერი სიტყვა და 26 მაისის დროშის წინ მის სამსახურშივე ღალია სული..." (ვ. შარაძე, 1993, გვ. 123).

ილია გოლდმანი და მისი მეუღლე 1963 წელს გარდაიცვალნენ ნიუ-იორკში (ჯერ იანვარში პოლინა ევსევის ასული, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ ილია გოლდმანი).

ასე დაიფერფლნენ ებრაელობის სასიქადულნო შვილნი — იოსებ ელიგულაშვილი და ილია გოლდმანი ქართველი ერის სამსახურში.

დამოწმებული ლიტერატურა

გაზეთი "ჩვენი ქვეყანა", №18, 30 აპრილი, თბ., 1917.
თ. პაპავა, 1973 – თ. პაპავა, ლტოლვილთა საძვალენი, პარიზი, 1973.
ჟურნალი "ქართულ-ებრაული ურთიერთობანი", ქუთაისი, 1996.
ჟურნალი "ჩვენი დროშა", №14, პარიზი, 1953.
ჟურნალი "ჩვენი დროშა", №108, პარიზი, 1986.
გ.შარაძე, 1990 – გ. შარაძე, "ფრანგული დღიური", თბ., 1990.
გ. შარაძე, 1992 – გ. შარაძე, "ამერიკელი ქართველები", თბ., 1992.
გ. შარაძე, 1993 – გ. შარაძე, "უცხოეთის ცის ქვეშ", ტ. 2, თბ., 1993.
გ. შარაძე, 1993 – გ. შარაძე, "უცხოეთის ცის ქვეშ", ტ. 3, თბ., 1993.

MARIAM MARJANISHVILI

THE OFFICERS OF GREAT GEORGIAN AFFAIR

Historically the relationship between Georgians and Jews counts 26 centuries. During whole these period these two nations had always been firmly connected both in good and hard times. One of the best examples of this is the solidarity for Georgian government escaped abroad during the occupation of Georgia by Bolshevik Russia.

While being in emigration Ioseb Eligulashvili, Jew from Kutaisi and Ilia Goldman - Jew of Russian origin fought with Georgians for Georgian affair. The last one living in Kutaisi was his own choice.

Ioseb Eligulashvili took active participation in taking national treasury in Europe together with academician Ekvtime Takaishvili in 1921and surviving it.

Apart from surviving treasury, as Nino Salia remarked in her memories : " We should be grateful for Ioseb Eligulashvili for the fact that Georgian government bought the land in borough Lavelle, near Paris and two floor house ("Shato") in 1922 which still belongs to Georgia and helped the great deal to Georgian emigration during 70 years.

Ioseb Eligulashvili was the great supporter to Georgian political emigration in Europe, but in USA the same kind of affair was done by Ilia Goldman. He was the member of Georgian community in New York and also the member of "American council of rebuilding independence for Georgia" board.

From June-July of 1953 Ilia Goldman founded first print house - journal "Our Way" together with Georgian political emigrants, which expressed the public ideas in impartial and honest ways.

It was a bilingual press, where the part of letters were printed in Georgian and part in English, as the "American council of rebuilding independence for Georgia" had close connections with American congress (senate, palate).
This is how the prominent members of Jews Ioseb Eligulashvili and Ilia Goldman dedicated their lives to Georgia.